სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law - Gori State Teaching University

ბრძანება № 1-83

გორი 01 11 2021წ.

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და მათთში ცვლილების შეტანის წესი

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N131 დადგენილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდებისა და პროფეიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის 01/11/2021წ (N 1162799) სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და მათთში ცვლილების შეტანის წესი" დანართის შესაბამისად;

2. პროფესიული განათლების ცენტრის IT მენეჯერს დაევალოს ამ ბრძანების განთავსება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;

4. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და მასში ცვლილების შეტანის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე ინსტრუქცია განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი") პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრმის დაგეგმვის, განხორციელების, პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესებს.

მუხლი 2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრმის დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის დაგეგმვისა და დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს სასწავლო უნივერსიტეტი, დამსაქმებელი, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი და სხვა.

2. ახალი პროგრამის დამატების შესახებ დასაბუთებული ინიცირება ხდება წერილობითი ფორმით - „პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება", შესაბამისი ბაზრის კვლევის ან სხვა საჭიროებიდან გამომდინარე.

3. პროგრამის დამატების ინიცირებას და მის მიზანშეწონილობას იხილავს სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად.

4. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და პროგრამის განხორციელების ნებართვის მოპოვების მიზნით, პროფესიული განათლების ცენტრის წარდგინებით სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია დაამტკიცოს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა.

5. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედის: პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი, დარგის სპეციალისტები, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, შესაძლებელია, ჯგუფში შედიოდეს დამსაქმებელი, მოწვეული ექსპერტი და სხვა.

6. სამუშაო ჯგუფი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების პროცესში მიზანშეწონილობასთან ერთად ეფუძნება სასწავლო რესურსების მატერიალურ-ტექნიკური, პრაქტიკის ობიექტების, საბიბლიოთეკო, ადამიანური, ფინანსური რესურსებისა და შესაბამისი მიმართულების სხვა მონაცემებს.

7. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაო ჯგუფი პროგრამის მთლიან პაკეტს (ძირითადი დოკუმენტი და დანართები) შესათანხმებლად წარუდგენს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს. თანხმობის შემთხვევაში პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი პროგრამას შეფასებისთვის/დასკვნისთვის გადასცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

11. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის შემუშავების

პროცესში თანამშრომლობს სამუშაო ჯგუფთან.

12. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ მასალებს და შესაბამისი რეკომენდაციებითა და შენიშვნებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უბრუნებს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისთვის.

13. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

14. პროგრამაზე მისაღებ მსმენელთა რაოდენობა - განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

მუხლი 3. პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსები

1. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებლი პერსონალი შეარჩიოს შიდა ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს როგორც გასაუბრების, ასევე კონკურსის წესს სპეციფიკის გათვალისწინებით.

2. პროგრამის განმახორციელებლების შერჩევის დროს სასწავლო უნივერსიტეტი ეფუძნება როგორც კვალიფიკაციას ან/და სამუშაო გამოცდილებას, ასევე ზეპირ ან/და წერილობით რეკომენდაციას სამუშაო ადგილიდან.

მუხლი 4. პროფესიული მომზადების /პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილების შეტანის თავისებურებანი.

1.უნივერსიტეტი პროფესიული მომზადების /პროფესიული გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, ვალდებულია, მსმენელთა ახალი მიღების გამოცხადებამდე ცენტრს წარუდგინოს შეცვლილი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა.

2. უნივერსიტეტი ვალდებულია, ცენტრს აცნობოს:

ა) პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული მეწარმე სუბიექტის ან სახელმწიფო ორგანოს ცვლილების ან დამატების შემთხვევაში და წარადგინოს ახალ პარტნიორ იურიდიულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას თანამშრომლობის ფორმატის შესახებ;

ბ) პროგრამის განმახორციელებელი პირის/პირების ცვლილების შესახებ და წარადგინოს მათი განათლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი და მათთან გაფორმებული ხელშეკრულება;

გ) პროგრამის სახელწოდების, მოცულობის, განხორციელების ადგილის ან სწავლის შედეგის/შედეგების ცვლილების შესახებ და წარადგინოს განახლებული პროგრამა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ცვლილების/ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, უნივერსიტეტი ვალდებულია, ცენტრს აცნობოს ცვლილების შესახებ მსმენელთა ახალი ნაკადის მიღების გამოცხადებამდე 30 სამუშაო დღით ადრე.

მუხლი 5. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილების ან გაუქმების შემთხვევაში განსახორციელებელი ღონისძიებები

1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების

ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან იმ კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, რომლის ფარგლებშიც მომზადებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა, შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ მსმენელებს დაასრულებინოს სწავლა. აღნიშნულ პროგრამაზე უნივერსიტეტი ვეღარ მიიღებს ახალ მსმენელებს.

2. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში, უნივერსიტეტი პროგრამაზე შემდეგი მიღების გამოცხადებამდე ვალდებულია, უზრუნველყოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობა. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, მსმენელებს სწავლა დაასრულებინოს იმ პროგრამაზე, რომელზეც ისინი ჩაირიცხნენ, ხოლო ახალი მსმენელები მიიღოს შეცვლილ პროგრამაზე.